



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION  
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო



აღმოსავლეთის პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



## მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 10 იანვარი, 2014 წელი

დრო: 13:00 – 15:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ოლეგ შატერაშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის (თანაკოორდინატორი)
2. ნინო ელიზბარაშვილი - საქართველოს ასოციაცია "ქალი და ბიზნესი" (თანაკოორდინატორი)
3. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
4. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
5. თემურ თორდინავა - კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი
6. კახა ნადირაძე - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
7. ლევან ცხაკაია - ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
8. მარინა სოლომონიშვილი - საერთაშორისო ფონდი "ლეა"
9. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
10. გივი ქოჩორაძე - კვლევების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
11. ლაშა ბლიაძე - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
12. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
13. ლევან სისვაძე - მდგრადი განვითარების ცენტრი

14. ვახტანგ კობალაძე - ენერგოეფექტურობის ფონდი
15. ნინო ბაბუნაშვილი - კავკასიის ქალები საუნივერსიტეტო განათლებით
16. ივანე ხარაშვილი - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა"
17. თენგის სვანიძე - ასოციაცია "მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია"

## დღის წესრიგი

- ინფორმაცია ჯგუფის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობის შესახებ (თანაკოორდინატორები)
- დისკუსია
- თანაკოორდინატორების კანდიდატურების დასახელება

შეხვედრის გახსნისა და დღის წესრიგის წარდგენის შემდეგ ჯგუფის თანაკოორდინატორმა დამსწრეებს მიაწოდა მოკლე ინფორმაცია მეორე ჯგუფის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობის შესახებ. 2013 წელს ჯგუფის წევრთა რაოდენობა 20-დან 40-მდე გაიზარდა. თანაკოორდინატორის თქმით, ეს ერთი მხრივ მისასალმებელია, იმის გათვალისწინებით, რომ მე-2 ჯგუფის ფარგლებში EaP ამოცანები იზრდება, თუმცა მეორე მხრივ აღსანიშნავია ისიც, რომ ჯგუფის წევრი ორგანიზაციების უმეტესობა არცერთხელ არ დასწრებია შეხვედრებს. მეორე ჯგუფის ფარგლებში შეიქმნა სოფლის მეურნეობის ქვეჯგუფი, რომელმაც აქტიურად იმუშავა წლის განმავლობაში, ჩატარდა რამდენიმე სხდომა, მათ შორის ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა კოოპერატივების შესახებ კანონზე პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარისა და ევროდელეგაციის ეკონომიკური ატაშეს მონაწილეობით.

ჯგუფმა და ქვეჯგუფმა, ისევე როგორც ჯგუფის ცალკეულმა წევრმა ორგანიზაციებმა წლის განმავლობაში იმუშავეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორც არის კოოპერატივები, იაფი კრედიტი, დამწყები ფერმერების დაფინანსება, სურსათის უვნებლობა, საინოვაციო პოლიტიკა (შეიქმნა არასამთავრობოთა კოალიცია „ინოვაციური საქართველო“, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან შეიქმნა საინოვაციო საბჭო), DCFTA და ზოგადად ევროინტეგრაციის თემა, მცირე ბიზნესი და ქალთა მიკრობიზნესი. ეროვნული პლატფორმის გაძლიერების პროექტის ფარგლებში მეორე სამუშაო ჯგუფმა მოამზადა 5 პოლიტიკის დოკუმენტი. ჯგუფის რამდენიმე წევრი მონაწილეობს ევროინტეგრაციის მინისტრთან არსებულ მრჩეველთა საბჭოს მუშაობაში.

წლის განმავლობაში ჩატარდა როგორც ჯგუფის, ისე ჯგუფის წევრების ინდივიდუალური შეხვედრები სამინისტროების და პარლამენტის წარმომადგენლებთან: განათლებისა და მეცნიერების მინისტრი/მინისტრის მოადგილე, ეკონომიკის მინისტრი/მინისტრის მოადგილე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი.

რაც შეეხება აქტივობებს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ფარგლებში, ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ პანელებში: სოფლის მეურნეობა, კვლევა და ინოვაცია, მცირე ბიზნესი. აღსანიშნავია ასევე ჯგუფის წევრების ერთობრილივი მუშაობა (პროექტები) აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა წევრ ქვეყნებთან, კერძოდ საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდისა და კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობა ამ მიმართულებით.

ჯგუფის მეორე თანაკოორდინატორმა დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია ვილნიუსის სამიტის შესახებ. სამიტის ფარგლებში გაიმართა მცირე და საშუალო ბიზნესის პანელი, ბიზნეს ფორუმი და "East Invest" - ის კონფერენცია. მცირე და საშუალო ბიზნესის პანელზე ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ თითქმის ყველა ქვეყნისთვის უკვე სავალდებულო ხდება მცირე ბიზნესის აქტის თაობაზე კანონის მიღება. თანაკოორდინატორს თქმით, საჭიროა ეკონომიკის სამინისტრომაც შეიმუშაოს აღნიშნული აქტი და ამით ხელი შეუწყოს მცირე ბიზნესის განვითარებას საქართველოში. მცირე და საშუალო ბიზნესის პანელს საქართველოდან ესწრებოდნენ ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელი, ლალი ლოლობერიძე, სავაჭრო პალატის წარმომადგენელი, ნინო ჩიქოვანი და ექსპერტი დიმიტრი ჯაფარიძე.

ქართულმა მხარემ მოამზადა ორი რეკომენდაცია. ერთი რეკომენდაცია, რომელიც წარდგენილი იქნა ჯგუფის თანაკოორდინატორის, ასოციაცია "ქალი და ბიზნესი" - ს წარმომადგენლის მიერ, გულისხმობდა მცირე და საშუალო ბიზნესში ქალათა ჩართულობის გააქტიურებას, აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყნის მეწარმე ქალებისთვის ერთობლივი ფორუმის ჩატარებას, დამწყებ მეწარმეთა მხარდაჭერას შეღავათიანი პროგრამებით. თანაკოორდინატორის თქმით, ამ რეკომენდაციას დიდი მხარდაჭერა და გამოხმაურება მოჰყვა რეკონსტრუქციის ბანკის წარმომადგენლებისგან, აღინიშნა, რომ ბანკი აპირებს ქალი მეწარმეების წახალისებისათვის სპეციალურ პროგრამების დაწყებას. რაც შეეხება ბიზნეს ფორუმს, საქართველოდან ფორუმში მონაწილეობდნენ ეკონომიკის მინისტრი და მისი მოადგილე, ასევე ვაჭრობის პალატის წარმომადგენლები.

ამის შემდეგ თანაკოორდინატორმა დამსწრეებს აცნობა, რომ 17 იანვარს დაგეგმილია პლატფორმის საერთო კრება, სადაც კენჭისყრით მოხდება სამუშაო ჯგუფების ახალი თანაკოორდინატორების არჩევა მომდევნო 1 წლისათვის.

დამსწრეებმა ფარული კენჭისყრით დაასახელეს თანაკოორდინატორების შემდეგი კანდიდატურები:

1. ოლეგ შატბერაშვილი - 14 ხმა
2. ნინო ელიზბარაშვილი - 12 ხმა
3. კახა გოგოლაშვილი - 1 ხმა
4. კახა ნადირაძე - 4 ხმა
5. ლია თოდუა - 1 ხმა
6. ეკა გეგეშიძე - 2 ხმა

დასახელებულთაგან კანდიდატურები მოხსნეს კახა გოგოლაშვილმა, კახა ნადირაძემ, ლია თოდუამ და ეკა გეგეშიძემ. შესაბამისად, 17 იანვრის საერთო კრებაზე თანაკოორდინატორების არჩევნებში მეორე ჯგუფიდან მონაწილეობას მიიღებს ორი კანდიდატი:

1. ოლეგ შატბერაშვილი - ასოციაცია "ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის"
2. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია "ქალი და ბიზნესი"

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია